


# დღე პირველი, დღე უკანასკნელი

ზესტაფონის სადგურზე თბილისის მატარებელი ჩამოდგა. აღელვებულმა ბიჭმა უმცროს ძმას სწრაფ-სწრაფად დაუბარა: დედას უთხარი, არ ინერვიულოს, იქ რამენაირად ვიცხოვრებ. მაგრამ თუ მოახერხებს, თვეში ერთხელ, ნახევარი ფუთი ლობიო და ერთი ფუთი მჭადის ფქვილი გამომიგზავნოს, თორემ, შეიძლება, შიმშილითაც კი გამძვრეს სულიო და ვაგონში ახტა. ვიდრე ოჯახი გონს მოეგებოდა, თოთხმეტი წლის სერგო ზაქარიაძე უკვე დედაქალაქისკენ მიემგზავრებოდა მტკიცე გადაწყვეტილებით – რადაც უნდა დაუჯდეს, ის მსახიობი იქნება!





სარგო ზაქარიაძე

და ბუხუტისთან ერთად ცხოვრობდა. ბავშვები ქართულ სკოლაში დადიოდნენ, რომელიც თავისი ვოკალური გუნდით და სამოყვარულო სპექტაკლებით იყო განთქმული.

მამის შემხედვარე, პატარა სერგო ზაქარიაძე ბავშვობიდანვე მსახიობობაზე ოცნებობდა და სკოლის ყველა ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას. ერთხელ თურმე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის – „ბედი ქართლისას“ მიხედვით დადგეს სპექტაკლი. დაბალი ტანის სერგოს პროფესიული თეატრისგან ნათხოვარი კოსტიუმებიდან ვერაფერი მოარგეს, ამიტომ სულ სცენის სიღრმეში, ვინმეს ზურგს უკან იმალებოდა, თან საშინლად განიცდიდა, რომ ასე „ამოვარდნილი“ იყო წარმოდგენიდან – გუნდთან ერთად თვალზე ცრემლმომდგარი მღეროდა „ქართველო ხელი ხმალს იკარო.“

თუმცა ზაქარიაძეებს ბაქოში დიდხანს არ უცხოვრიათ, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ალექსანდრე ოჯახით სამშობლოში დაბრუნდა და ზესტაფონში დასახლდა – თავისი წინაპრების მიწაზე, რომლებიც ოდესღაც ლეჩხუმის მთიანი სოფლიდან იმერეთში, სოფელ სიმონეთში ჩამოსახლებულან. სერგო ბაქოს სკოლის მესამე კლასიდან ზესტაფონის სკოლის მეოთხე კლასში გადმოიყვანეს, შემდეგ კი ადგილობრივ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. ახალი მოსწავლე განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – ნინა წულუკიძეს შეუყვარდა. სერგო ძალიან კარგად კითხულობდა ლექსებს, ამიტომ საპატიო სტუმრების წინაშე ხშირად გამოჰყავდათ, სკოლის სპექტაკლებში კი უკვე სულ მთავარ როლებს ასრულებდა. თეატრის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა, ადგილობრივი თეატრის და გასტროლიორი არტისტების ყველა წარმოდგენას ესწრებოდა და თითოეულის ტექსტი თითქმის ზეპირად იცოდა.

ერთხელ, სკოლაში სპექტაკლი „კოტეს დანაშაული“ დადგეს და მთავარი პერსონაჟის დრამატული როლი სერგო ზაქარიაძეს ათამაშეს. წარმოდგენის ბოლოს, მაყურებელთა შორის მყოფმა მსახიობმა ვასო ურუშაძემ განსაკუთრებული ტამით დააჯილდოვა და ახალბედა „კოლეგა“ ძალიან შეაქო. ამ ნაქეზების შემდეგ, სერგოს კიდევ უფრო გაუმძაფრდა პატარაობიდანვე აკვირებული არტისტობის სურვილი. მიუხედა-

ვად იმისა, რომ მხოლოდ თორმეტი წლის იყო, მაინც იმაზე ფიქრობდა, რა ცოტა როლი ვითამაშე, დრო კი ისე სწრაფად გადის, იქნებ ვერც მოვასწრო ჩემი ოცნების ასრულება და არსებობა სხვებზე მოსაწყენი ცხოვრებით მომიწიოსო...

მალე ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს – სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე ზაქარიაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. ჯერ კიდევ ბაქოში გრძნობდა თავს შეუძლოდ, სპექტაკლის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, საცეკვაო დივერტის-მენტში იღებდა ხოლმე მონაწილეობას. დაუდევრობის გამო გაცივდა და ეს გაცივება საბოლოოდ ისე გაურთულდა, რომ 28 წლის ასაკში ჭლექით გარდაიცვალა. ოჯახი მარჩენლის გარეშე დარჩა, დაქვრივებულ ავდოთია თორთლაძეს და მის სამ შვილს ნათესავების შემწეობით და ქსოვით ნაშოვნით ორიოდე კაპიკით თავი ძლივს გააჭონდათ.

გარკვეული დროის შემდეგ ავდოთიამ ხელმეორედ გათხოვება გადაწყვიტა და ბედი კოლია ზარნაძეს დაუკავშირა. ორივე ქვრივი იყო, ავდოთიას სამი ვაჟი: სერგო, ბორია და ბუხუტი ჰყავდა, კოლიას პირველი მეუღლე კი – მშობიარობას გადაჰყვა. სულ პატარა, რამდენიმე თვის გერი, ავდოთიამ საკუთარი შვილივით შეიყვარა და თავის ბიჭებთან ერთად გაზარდა. კოლიაც საოცრად გულისხმიერი კაცი იყო და ზაქარიაძეებს კარგ მამობას უწევდა. სერგოსა და მას შორის სხვაობა სულ რაღაც 18 წელი იყო (დედა კი მხოლოდ 15-16 წლით უფროსი იყო მასზე), ასე რომ, მამინაცვალს და გერს ერთმანეთთან დიდი მეგობრობაც აკავშირებდა. ეს განსაკუთრებული ურთიერთობა მათ სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ – როდესაც სერგო უცხოეთში მიემგზავრებოდა, თვითმფრინავით გამგზავრების ნაცვლად, ყოველთვის თბილისი-მოსკოვის მატარებელზე ყიდულობდა ბილეთს. მართალია მგზავრობა 2 დღე გრძელდებოდა, მაგრამ მსახიობი ჯერ ზესტაფონში ჩამოდიოდა, კოლიასთან მიდიოდა და უყვებოდა – ახლა ამ ფესტივალზე მივდივარ ან ამა და ამ ფილმის პრემიერა მაქვსო, ღამეც იქ რჩებოდა და მეორე დღეს შემდეგ მატარებელს უკვე მოსკოვისკენ მიჰყვებოდა. უკანა რეისიც ასეთივე იყო – თბილისამდე ერთ დღეს ჯერ კოლიასთან გაატარებდა, ჩააბარებდა „ანგარიშს“, აქა და აქ ვიყავი, ეს ვნახე, ის გავიცანი და ა.შ. და მეორე დღეს მშვიდად უბრუნდებოდა დედაქალაქს.

მძიმე ყოფის მიუხედავად, სერგოს სანუკვარ ოცნებაზე ფიქრი არ შეუწყვეტია. სულ თავში უტრიალებდა მამის ნათქვამი – ნამდვილმა არტისტმა ბევრი უნდა ისწავლოს და თეატრში ბეჯითად იმუშაოსო. მას კი, გაჭირვების გამო, ბილეთების ფული არ ჰქონდა და სპექტაკლებსაც ვეღარ ესწრებოდა, და რადგან ისიც კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ოცნებით არაფერი გამოვიდოდა, იერიშზე გადავიდა – დედას შეუჩნდა და იქამდე არ მოასვენა, ვიდრე ზესტაფონის თეატრის ხელმძღვანელთან არ მიიყვანა და სთხოვა, ეგებ კულისებში შემოუშვათ და ისე აყურებინოთ სპექტაკლებიო. სერგომ კულისებიდან მოკლე ხანში სცენაზეც გადმოინაცვლა – ახალ დადგმაში – „სინათლე“ უფლისწულის როლი ანდეს, რომელიც საკმაოდ დრამატული და სიუჟეტურად მნიშვნელოვანი იყო, თანაც უშუალო პარტნიორობას უშანგი ჩხეიძეს უწევდა! მათი პირველივე გამოსვლა ძალიან ფევეტური იყო – სცენაზე დერეფი-სატანა (უშანგი ჩხეიძე) გამოდის, ხელში პატარა უფლისწული უჭირავს და მასთან ერთად ქვესკნელში უჩინარდება. მოულოდნელი ეფექტით აღფრთოვანებული მაყურებელი სცენის ბოლოს ყოველთვის ტაშს უკრავდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს აპლოდისმენტები

დერეფის უფრო ეკუთვნოდა, სერგო ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე იყო და თავის როლს ისეთი გულმოდგინებით ასრულებდა, რომ ერთ-ერთი მოქმედების ბოლოს, სადაც ის ტირილით და მუდარით მიმართავდა მშობლების არდილებს, უშანგი ჩხეიძემ აღნიშნა: „Артист то темпераментный...“ ერთხელ კი, როდესაც სპექტაკლში „გადაჭრილი მუხა“, თვალცრემლიანმა სერგომ ლექსი წაიკითხა და დიდი ტამი დაიმსახურა, უშანგი გაეხუმრა: „Ты что, конкуренцию мне устраиваешь?“

**სერგო მიხვდა, რომ თუ ახლა ამ შემთხვევით არ ისარგებლებდა, შეიძლება მეორე შანსი განგებას მისთვის აღარც გამოემეტებინა.**

შემდგომში უშანგი ჩხეიძე სერგო ზაქარიაძეს ცხოვრებისა და შემოქმედების გრძელ გზაზე გაჰყვებდა: თავდაპირველად – როგორც კუმირი და მისაბაძი მაგალითი, შემდეგ, როგორც პარტნიორი, უფროსი მეგობარი და მასწავლებელი. ერთ დღეს, სახლიდან სკოლისკენ მიმავალი სერგო, ქალაქის



XX საუკუნის დასაწყისში ბაქოში ბევრმა ქართველმა მოიყარა თავი. მიდიოდნენ ოჯახებით, ზოგი ნავთობის კომპანიაში მუშაობდა, ზოგიც – რკინიგზაზე. ქართული დიასპორა იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალის ბაზაზე ქართველებმა ბაქოში ქართული სკოლა გახსნეს, დრამატული თეატრი და რკინიგზელთა სამოყვარულო დრამრეც აამუშავეს, სადაც წარმოდგენებს მხოლოდ მშობლიურ ენაზე მართავდნენ. ალექსან-

დრე ზაქარიაძე ბაქოს სარკინიგზო დეპოში მემანქანედ მუშაობდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრიც იყო, განსაკუთრებული სიამოვნებით კი რკინიგზელთა დრამატულ წრეში თამაშობდა. დრამრის ხელმძღვანელი, მსახიობი ვასო არაბიძე, კარგი გარეგნობითა და ტემპერამენტით გამოირჩეულ ალექსანდრეს, სულ მთავარ როლებს აძლევდა. რკინიგზელთა თეატრის წამყვანი მსახიობი ბაქოში ცოლთან – ავდოთია (ივლით) თორთლაძესთან და სამ შვილთან – სერგოსთან, ბორიასთან



ავღოთი თოროლაკი ჰვილბოთან ერთად

დარჩენილი დღეები კი ქალაქის დათვალეერებაში გაატარა – საათობით დასეირნობდა გოლოვინის (ახლა რუსთაველის) პროსპექტზე და მტკვრის სანაპიროზე. ღამით ნაძალადევეში ზესტაფონელ მეგობართან რჩებოდა. ქალაქური იერი რომ მიელო, დედის ნაჩუქარი ველოსიპედი გაყიდა და ახალი ტანსაცმელი შეიძინა.

და აი, გამოცდის ნანატრი და მღელვარე დღეც დადგა. სერგო უთენია ადგა, ახალი ტანისამოსი მოირგო და სტუდისკენ გაემართა, სადაც თავზარდამცემი რამ უთხრეს – თურმე მის გარდა ამ სტუდიაში ჩაბარების კიდევ 90 მსურველი ყოფილა, თანაც გამოცდა ღია წესით ტარდება, ხოლო მიმღები კომისიის წევრები არიან სტუდიის ხელმძღვანელი – აკაკი ფალავა, ახალგაზრდა რეჟისორი – სანდრო ახმეტელი, რეჟისორი და პედაგოგი – მიხეილ ქორელი, ცნობილი მსახიობი – გიორგი დავითაშვილი, თეატრის დირექტორი – დავით ჩხეიძე, ფსიქოლოგი, პროფესორი დიმიტრი უზნაძე და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. სერგო ამ ჩამონათვალს დიდად არ შეუშფოთებია, მხოლოდ იმიტომ, რომ საერთოდ არც იცოდა მათი ვინაობა. მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ შეშინდა, როდესაც შეიტყო, რომ გამომცდეღელთა შორის თვით ცნობილი კოტე მარჯანიშვილი იქნებოდა. ის ამგვარ გამოცდაზე სულაც არ ოცნებობდა, მაგრამ უკან ხომ არ დაიხევდა – მედგრად შეუერთდა კონკურენტთა რიგს.

კომისიის წინაშე პირველი ია ქანთარია წარსდგა და ბარათაშვილის „მერანი“ წაიკითხა. სერგომ გამომცდეღელების სახეზე კმაყოფილება რომ ამოიკითხა, ძალიან შეშფოთდა. ეს გრძნობა, თითოეული კონკურენტის გამოსვლისას, ხან უმძაფრდებოდა, ხან კი – იმედის ნაპერწკალი უჩნდებოდა – ზოგი კარგად კითხულობდა, ზოგი – არც ისე. სერგოს თავში სულ ერთი აზრი უტრიალებდა – რა მინდა მე აქ, როცა ესენი ასე კითხულობენ, ასეთი ნიჭიერები არიანო?! ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ: თამარ წულუკიძე, აკაკი ხორავა, შოთა მანაგაძე, მალიკო მრეველიშვილი... ერთი პირობა, იფიქრა, საერთოდ არ გავალო, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რაც იქნება, იქნება, დაე, გამომცადონ და თავად გამაძეგონო. ამ ფიქრებში იყო, როდესაც საკუთარი სახელი და გვარი მოესმა.

– სერგო ზაქარიაძე – უკვე მეორედ აცხადებდა ფალავა.  
სერგომ ნერვიულობისგან ჰალსტუხი მოიგლიჯა, დარბაზი გადაჭრა და გამომცდეღელებისკენ გაემართა. ასეთი პატარა აბიტურიენტის დანახვაზე უცბად ყველა ახარხარდა.  
– მოინი – უთხრა ფალავამ. სერგოს კი მოესმა „გაინიო“ და განზე გადახტა, დამსწრე საზოგადოება ამან კიდევ უფრო გაამხიარულა.  
– მოინი, მოინი – გაიმეორა ფალავამ – დაჯექი. რამდენი წლის ხარ?  
– ჩვიდმეტის – გაუბედავად იცრუა სერგო ზაქარიაძემ.  
– მერე სად გეჩქარება? ორ-სამ წელიწადში მოდი...  
– არა, ახლა მინდა! ძალიან მინდა!  
– კარგი, მაშინ წაიკითხე.

სერგომ გაითამაშა სცენა ზესტაფონის თეატრის სპექტაკლიდან – „გადაჭრილი მუხა“. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საშინლად წაიკითხა, თანაც არც სმენა შეუმონმეს, არც რიტმის გრძნობა. მაგრამ როცა დარბაზში ჩავიდა, სრულიად უცხო ადამიანებმა შეაქეს, რას ჩამოგიშვია ცხვირი, ბევრზე უკეთ ითამაშეო. აი, მაშინ კი გაიფიქრა – უსათუოდ მიმიღებენ!

ის ღამე სერგომ თეთრად გაათენა, იმ იმედით, რომ მეორე დღით გამოკრულ ჩარიცხულთა სიაში თავის გვარს აუცილებ-

ლად ამოიკითხავდა. უთენია ადგა და სახლიდან ფეხაკრეფით გამოვიდა, დრო რომ მოეკლა, გოლოვინის პროსპექტისკენ წელა მიდიოდა და გზად სახლებს და ხეებს ითვლიდა, მერე ფილაქნის ფილების დათვლაზე გადავიდა და ვერც კი შეამჩნია, თეატრის კარებზე სიები როგორ გამოაკრეს. სერგო მივარდა და საჩქაროდ დაიწყო კითხვა – ზაქარიაძე არსად წერია!

– ვაიმე, ბატონო, სად ვარ? სად არის ჩემი გვარი? წუთო, ვერ მოვხვდი?... – მუდარით ჰკითხა სტუდიის ადმინისტრატორს.  
– კი, გამოცდა კარგად ჩააბარე, გაქებდნენ, ჩემი ყურით მოვისმინე, მაგრამ შენი ასაკი... ხომ გესმის...

თავზარდაცემული დიდხანს იდგა თეატრის წინ, მერე გამოსავალი იპოვა და საშველად დოღო ანთაძეს მიმართა, რომელსაც ზესტაფონის თეატრიდან იცნობდა. ანთაძემ ფალავა-

სერგო ზაქარიაძესთან ერთად სტუდიაში სწავლობდნენ: აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, პიერ კობახიძე, თამარ წულუკიძე...

შვილის გასტუდენტებით გახარებული ავღოთია თბილისში ჩამოვიდა, გული გაუსკდა, როდესაც ნახა, რომ სერგოს რალაც ბინძურ ფარდულში, პირდაპირ იატაკზე ეძინა და სასწრაფოდ შორეულ ნათესავებთან გაამწესა. ამის გარდა, №14 სკოლაში მიაბარა, სადაც სერგო დღისით ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს სწავლობდა, საღამოს კი – სტუდიაში ლექციებზე მიდიოდა.

თეატრალთა საბედნიეროდ, იმხანად თბილისს მოსკოვის მცირე თეატრის დასი ეწვია საგასტროლოდ. მიუხედავად იმისა, რომ რუსული საერთოდ არ იცოდა, სერგო ყველა სპექტაკლს ესწრებოდა და სტუდიის დერეფნებში წარმოადგენების

**სერგომ გაითამაშა სცენა ზესტაფონის თეატრის სპექტაკლიდან – „გადაჭრილი მუხა“. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საშინლად წაიკითხა, თანაც არც სმენა შეუმონმეს, არც რიტმის გრძნობა.**

ვასთან უშუამდგომლა და სერგო ზაქარიაძე სტუდიაში თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო – მიუხედავად იმისა, რომ სტუდიელები ასაკით უმცროს ჯგუფელს მაინცდამაინც არ ემეგობრებოდნენ, სამაგიეროდ სახელი სიმღერით გაითქვა – გუნდში პირველ ხმას მღეროდა.

განხილვებსაც გაფაციცებით უსმენდა. ერთხელ, პლასტიკის გაკვეთილის დაწყების წინ, სტუდიელები თავიანთ პედაგოგს შემოეხვივნენ, რომელიც დიდი გატაცებით საუბრობდა მცირე თეატრის შესახებ. სერგო ჯგუფელებს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა და ზუსტად იმ დროს მივიდა, როდესაც ქალბა-

ზანტაფონის ფანჯურთის გუნდი





**შალვა ჯაფარიძე, გიორგი შავჭავჭავაძე, ვასო გომიაშვილი და სერგო ზაქარიასძე**

არ იყო და მას რეჟისორი მიხეილ ქორელი ცვლიდა, საბედისწერო გადაწყვეტილებაც სწორედ მან მიიღო. რას იფიქრებდა მაშინ ქორელი, რომ სტუდიიდან მომავალ სიძეს აგდებდა! შემდეგომში, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, სერგო ზაქარიასძე არაერთხელ გამოუგდიათ, მაგრამ როგორც თავად ამბობდა, ეს პირველი გაძევება მისთვის ყველაზე მტკივნეული იყო, თანაც, 14 წლის ბიჭისთვის, გაუგებარი და საოცრად შეურაცხყოფელი. მართალია, ფალავას ჩამოსვლის შემდეგ, ახსნა-განმარტებების შედეგად, სერგო სტუდიაში როგორღაც მაინც აღადგინეს, მაგრამ მოკლე ხანში სასწავლებელი უკვე საკუთარი სურვილით დატოვა – ჯგუფებთან ურთიერთობა ვერა და ვერ ააწყო, მუდმივი კონფლიქტების გამო, სულ გარიყული იყო. 1923 წელს სერგო ზაქარიასძე მშობლიურ ზესტაფონში დაბრუნდა და სკოლა იქ დაამთავრა.

ორი წლის შემდეგ, დედაქალაქში უკვე ატესტატით ჩამოვიდა და საბუთები უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შეიტანა. ამავდროულად, რუსთაველის თეატრის თანამშრომელიც გახდა. უნივერსიტეტში გონების კარნახით წავიდა, თეატრში კი – გულის. თანაც, რალაცით ხომ უნდა ეარსება, თეატრში კი უბრალო სტატისტს თვეში 25 მანეთს უხდიდნენ – ეს იყო მისი მცირე, თუმცა იმხანად ერთადერთი შემოსავალი. სერგო ზაქარიასძე რუსთაველის თეატრში საკმაოდ დაძაბულ პერიოდში მივიდა, მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის განხეთქილების ბზარი ნელ-ნელა ღრმავდებოდა, რაც, საბოლოოდ, თეატრიდან კოტე მარჯანიშვილისა და მსახიობთა გარკვეული ნაწილის წასვლით დასრულდა. თეატრს სათავეში სანდრო ახმეტელი ჩაუდგა. სერგო ზაქარიასძემ პირველი სამსახიობო ნაბიჯები სწორედ მისი ხელმძღვანელობით გადადგა.

თავდაპირველად სერგო, რამდენიმე მეგობართან ერთად, პატარა ოთახს ქირაობდა, ერთხელაც ქირა ვერ გადაიხადეს და უბინაოდ დარჩნენ. ამ დროიდან დაიწყო მისი ხეტიალი ერთი ნაცნობიდან მეორესთან. ხან სად ეძინა, ხან – სად. ხშირად ღია ცის ქვეშაც კი უხდებოდა ღამის გათენება. ერთხანს, თეატრის სარეჟისორო ოთახში, არჩილ ჩხარტიშვილმა შეიფარა (მოგვიანებით სერგო ზაქარიასძე და არჩილ ჩხარტიშვილი ერთმანეთის ქვისღები გახდნენ), მაგრამ მალე დარაჯმა აღმოაჩინა და უკანონოდ ჩასახლებული უსახლკარო არტისტი თავსხმა წვიმაში გარეთ გააგდო. სერგომ მთელი ღამე დახეული ფეხსაცმლით ყინვაში გაატარა და საშინლად გაცივდა. მეორე დღეს კი რეპეტიციაზე, მაღალი სიციხით გათანგულმა მიზანსცენას გადაუხვია და სულ სხვა რამ გააკეთა – ახმეტელი აყვირდა, მაგრამ როდესაც მდგომარეობა აუხსნეს, საშინლად შეეცოდა და სასწრაფოდ გასცა განკარგულება – გამოუყავით ამ ბიჭს თეატრში რომელიმე ოთახი, აჭამეთ და მოუარეთო! სეზონის ბოლომდე სერგო თეატრში ცხოვრობდა.

სანდრო ახმეტელი, საერთოდ, თავის მსახიობებზე ძალიან ზრუნავდა, თუ ვინმეს გაჭირვებას გაიგებდა, ყველანაირად ხელს უმართავდა. ერთხელ „რღვევის“ რეპეტიციაზე სერგოს ფეხი დაუცდა, დავარდა, მარჯვენა ხელი ძალიან დაიშავა – თეატრში გადაუხვიეს, მეორე დღეს კი, ბინტის გამოცვლისას, აღმოჩნდა – ხელი სრულიად გაშავებოდა. ახმეტელის ყურამდე მივიდა ამბავი, რომ ექიმები მსახიობ ზაქარიასძეს ხელის ამპუტაციას ურჩევენ. მან იმწუთშივე გამოიძახა თეატრის ბუღალტერი და უბრძანა – სერგო ზაქარიასძისთვის სამი თვის ხელფასი გამოენერა („ჩემ ხარჯზე!“) და სასწრაფო კონსულტაციისთვის მოსკოვში გაექანებინათ. ბედად, ერთმა ქართველმა

ექიმმა რალაც ხალხური წამალი შესთავაზა და ხელი მოუჩინა. როდესაც სანდრო ახმეტელთან მადლობის სათქმელად მივიდა, თან ხურდაც მიუტანა – 45 მანეთი (18 მანეთი მკურნალობაში დაეხარჯა). ახმეტელმა ალერსით წამოარტყა და უკან გააბრუნა, ფული კი, რა თქმა უნდა, არ აიღო.

სანდრო ახმეტელის კეთილგანწყობის მიუხედავად, გარკვეული დროის შემდეგ, სერგო ზაქარიასძემ, რუსთაველის თეატრის რამდენიმე მსახიობთან ერთად, კოტე მარჯანიშვილთან სამუშაოდ წასვლა არჩია. უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ლამბაშიძე და სანდრო ყორყორიანი მარჯანიშვილთან ქუთაისში გაემგზავრნენ. სერგოც მათ „აეკიდა“. თეატრში ამის შესახებ ირონიულად ხუმრობდნენ: ჩხეიძეს ხორავა შეცვლის, ლამბაშიძეს – ვასაძე, მაგრამ, აი, ზაქარიასძეს ვინ შეცვლის, რა გვეშველება, დაილუპა რუსთაველის თეატრი და ეგააო. მთავარ როლებს არც მარჯანიშვილი აძლევდა, პირიქით, თავიდან აითვალწუნა კიდეც, მაგრამ თავისი სიჯიუტით, შრომისმოყვარეობით და თეატრისადმი თავდადებული სიყვარულით, სერგომ მოკლე ხანში მანესტროს გული მაინც მოიგო და მარჯანიშვილმა შეამჩნია, რომ ამ კარგი გარეგნობის ყმანვილს ტემპერამენტიც აქვს, ცოცხალი და გამჭოლი მზერაც, ათლეტური აღნაგობაც და ფანტაზიაც.

სერგო ზაქარიასძეს მარჯანიშვილთან დიდხანს არ უმუშავია, სულ რამდენიმე წელი, სამაგიეროდ, დიდი რეჟისორისგან ბევრი რამ ისწავლა. მარჯანიშვილი საკუთარი აღმზრდელობითი მეთოდებით ზრდიდა ჯიუტ არტისტს. მაგალითად, როდესაც „ყვარყვარე თუთაბერის“ განაწილება გამოაცხადეს, სერგოს პატარა, ეპიზოდური როლი შეხვდა. რეჟისორი სტანისლავსკის ცნობილი გამოხატულებით – „არ არსებობს პატარა და დიდი როლი, არსებობენ პატარა და დიდი მსახიობები“ – ხშირად ხელმძღვანელობდა და თითოეულ, თუნდაც უმნიშვნელო როლსაც კი დიდ ყურადღებას უთმობდა. მან გადაწყვიტა, რომ სერგოს ეს როლი წვერებით ეთამაშა. მსახიობმა კი იმ წამსვე გააპროტესტა – ძალიან გთხოვთ, წვერის გარეშე მათამაშოთო. რეჟისორმა თვალი თვალში გაუსწორა და თავის ასისტენტს რვეულში ჩაანიშნა

**თეატრში ირონიულად ხუმრობდნენ: ჩხეიძეს ხორავა შეცვლის, ლამბაშიძეს – ვასაძე, მაგრამ, აი, ზაქარიასძეს ვინ შეცვლის, რა გვეშველება, დაილუპა რუსთაველის თეატრი და ეგააო.**

წინა – ზაქარიასძე წვერებით ითამაშებს! სერგო საშინლად გაბრაზდა და ყველა სპექტაკლში დემონსტრაციულად ინებებდა უდიდეს წვერს, ოფლში იხრჩობოდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა და ასე გამოხატავდა თავის აღშფოთებას. როდესაც ზაფხულის სეზონის

უკანასკნელი სპექტაკლი ითამაშეს და გახვითქული სერგო სცენიდან კულისებში გავიდა, იქ მარჯანიშვილი დახვდა, საკუთარი ხელით მოაძრო მიკრული წვერი და მკაცრად გააფრთხილა: „ამჯერად საკმარისია. მაგრამ დაიმასხოვერე – არასოდეს ჩაყო ცხვირი სხვის საქმეში!“



ტონმა უღენტმა მისთვის საბედისწერო ფრაზა წარმოთქვა: „А «Стакан Воды»! Может ли быть большее наслаждение, чем «Стакан Воды»!“ პედაგოგი საუბრობდა ეჟენ სკრიბის პიესაზე „ჭიქა წყალი“, რომელიც მცირე თეატრმა თბილისში წარმოადგინა. რუსულის არმცოდნე სერგომ კი ჩათვალა, რომ პედაგოგს მოსწყურდა, დახმარების სურვილით ანთებული, გავარდა და წყლით სავსე ჭიქა მიართვა ზუსტად იმ დროს, როდესაც ქალბატონი ცხარედ განიხილავდა სპექტაკლის აკვარგანობას. გაცხარებულ კამათში მირთმეული ცივი წყალი პედაგოგმა უდიდეს შეურაცხყოფად მიიღო.

**დარაჯმა აღმოაჩინა და თავსხმა წვიმაში გააგდო. სერგომ მთელი ღამე დახეული ფეხსაცმლით ყინვაში გაატარა და საშინლად გაცივდა.**

– არ გინდათ და ნუ გინდათ! – ჩაილაპარაკა გაკვირვებულმა სერგომ. ამ ფრაზას კიდე უფრო დიდი სკანდალი მოჰყვა. სერგოს მხარი არც ჯგუფმა დაუჭირა.  
– იცოდეთ, მე დავტოვებ ჯგუფს! – კიოდა უღენტის.  
– კი ბატონო... – დაიწყო სერგომ წინადადება, უნდოდა ბოდიში მოეხადა და თავისი უნებლიე შეცდომა როგორმე გამოესწორებინა, მაგრამ სიტყვა შუაში გაანწყვეტინეს.  
იმ დროს სტუდიის ხელმძღვანელი აკაკი ფალავა თბილისში



მერი ქორელი

ძნელია თონე ხელოვნებაში და რა გემრიელია ის კოკორი, რომელიც შენმა შრომამ მოგცა და შენც დალილი, გაოფილი, მაგრამ სიხარულით სავსე, წელში გასწორებული, ამას იგემებ და იცი, რომ ეს შენი სუფთა შრომის შედეგია, შენ გეკუთნის და შეგერგება კიდევ – წერდა იმ დროს. ამ შრომის შედეგად სერგო ზაქარიაძემ მარჯანიშვილის თეატრში რამდენიმე ათეული როლი შექმნა, ზოგი – კოტე მარჯანიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, ბევრი კი – უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ.

1931 წელს სერგო დაოჯახდა – ცოლად რეჟისორ მიხეილ ქორელის და ძველი თაობის სახელგანთქმული მსახიობის – ნუცა ჩხეიძის ქალიშვილი – მერი ქორელი შეირთო. მეუღლის მსგავსად, მერიც მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო, თუმცა გათხოვებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მსახიობობას თავი მიახრებდა. მერის მშობლები ამ ქორწინებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, ნუცა ჩხეიძეს იმდენად არ უნდოდა სერგო ზაქარიაძე სიძედ, რომ უკვე ორსულ მერის ეუბნებოდა, ბავშვი გააჩინე და მაგ კაცს თავი დაანებო. 1932 წლის აგვისტოში სერგოს და მერის ვაჟი – გურამი შეეძინათ. დედის დარიგების მიუხედავად, მერიმ ქმარი არ მიატოვა, თუმცა სერგოსა და სიდერ-სიმამრს, დიდი ხნის მანძილზე, ძალიან დაძაბული და რთული ურთიერთობა ჰქონდათ. თავიდან სერგოს სახლში საერთოდ არ უშვებდნენ. გარკვეული დროის შემდეგ – დამოკიდებულება სულ ოდნავ შეიცვალა, თუმცა ნუცა ჩხეიძე მაინც აღმაცერად უყურებდა უსახლკარო, გაღლებილ, მისი აზრით, საეჭვო ნიჭის მქონე სიძეს. ყველა სიკეთესთან ერთად, სერგო ამ დროს უმუშევარიც იყო – მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის შემდეგ, ყველაფერი აირია, უშანგი ჩხეიძე მთელი წელი ავად იყო და აღარ თამაშობდა, ვერიკო მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ, პეტრე ოცხელიც მცირე თეატრში მიიწვიეს, ახალგაზრდა მსახიობების ჯგუფი შედარებით უფროს თაობას დაუპირისპირდა, თეატრი ფინანსურადაც სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა და შემოქმედებითადაც. იგი მსახიობთა და რეჟისორთა დიდმა ჯგუფმა დატოვა, მათ შორის იყვნენ: არჩილ ჩხარტიშვილი, აკაკი კვანტალიანი, მერი დავითაშვილი, მერი და მედეა ქორელები, სერგო ზაქარიაძე...

„საყოველღეობით ცხოვრებისათვის არ მიხდებოდა ფიქრი, ვინაიდან ბინად და ყოველ მხრივად მ. ქორელთან ვცხოვრობდი და ისინიც, რა თქმა უნდა, ამას არაფრით მაგრძნობინებდნენ, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში ჩემი ყოფა ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს ყველაფერი მანუხებდა, მალეღვებდა, ხშირად ბავშვურ ამბებსაც ჩავდიოდი, სადილობისას სახლში არ მოვიდოდი ან დილით არაფერს ვჭამდი. ერთხელ, ერთი ათი დღე თუ ორი კვირა, სულ სხვა ოთახში ვცხოვრობდი და სახლში მხოლოდ ისეთ დროს თუ მოვიდოდი, როდესაც მნახველები დადიან ხოლმე. ეს ყოველივე ყველას ანერვიულებდა და ამ საკითხზე არაერთხელ წაუკითხავთ ნატაციები. მაგრამ ვერ გადავლახე ეს უკუდო თავმოყვარეობა...“ – წერდა სერგო ზაქარიაძე 1938 წელს. ასეთი მდგომარეობა მართლაც დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და არც გაგრძელდებულა, სერგო ოჯახთან ერთად კომუნალურ საცხოვრებელში გადავიდა. როგორც ყველა თბილისური ეზო, მეზობლები აქაც ძალიან მეგობრულად ცხოვრობდნენ, მის სპექტაკლებსა თუ ლიტერატურულ საღამოებზე მთელი ეზო დადიოდა. ოთხმოც წელს გადაცილებული ნუცა ჩხეიძე კი ისე გარდაიცვალა, რომ სიძის არც ერთი სპექტაკლი და ფილმი საგანგებოდ არ ნახა. სიდერმა სიცოცხლის ბოლომდე არ მიიღო „პროვინციალი“ სიძე.

უთეატრობის ხანა სერგომ მხატვრული ლიტერატურის

დამუშავებით და სხვადასხვა საღამოზე გამოსვლებით შეავსო. კინოშიც იღებდნენ... ითამაშა თორღვა – სიკო დოლიძის „უკანასკნელ ჯვაროსნებში“, სიმონა – კვლავ სიკო დოლიძის ფილმში – „დარიკო“, სარდიონი – ნიკოლოზ შენგელაიას „სამშობლოში“, ვარდენი – სიკო დოლიძის „მეგობრობაში“, შადიმან ბარათაშვილი – მიხეილ ჭიაურელის „გიორგი სააკაძეში“. სამუშაო, ასე თუ ისე, ჰქონდა, მაგრამ მაინც სულ თეატრში დაბრუნებაზე ოცნებობდა, უთეატროდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა და არც უნდოდა. მატერიალურადაც ძალიან უჭირდათ, სახკინმრეწვის ჰონორარებით და ლიტერატურული საღამოებიდან აღებული ფულით თვიდან თვემდე ძლივს გაჰქონდათ თავი, საღამოებზე გამოსვლისთვის შესაფერის ტანისამოსსაც და ფეხსაცმელსაც სულ მეზობლებისგან და ახლობლების-

გან თხოვლობდა. „შაქართან ერთად ვიყიდე ნახევარი კილო კულიჩი, ვიჩინაც მინდოდა, მაგრამ დამენანა დახარჯვა, მივედი სახლში, დავლიეთ ჩაი და ბავშვს, რომელსაც ეძინა, თითქოს, გაეღვიძა, ჩვენ ვისარგებლეთ მდგომარეობით და ერთი დიდი ნაჭერი კულიჩი მივაჩრეთ ხელში, თუმცა იქვე ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ცოდო იყო ახლა მისი გაღვიძება, მაგრამ მას საღამოს არაფერი არ ეჭამა ამან უფრო გაგვაბედვინა. ბავშვი თვალებს ნაბავდა და ისე სჭამდა, ჩვენც სიხარულით შევცქეროდით. ეხ! ძნელია, ძნელი ცხოვრება. მაგრამ ამდენი სიამოვნებაა ქვეყანაზე. აი, ამისთვის ღირს ცხოვრება, თუნდაც ამ ერთი ღამის ისტორიისათვის.“ – ასეთი საღამოები ზაქარიაძეების პატარა ოჯახში ხშირი იყო.

არჩილ ჩხარტიშვილის, მედეა და მერი ქორელების დიდი

„ორი კვირა სახლში მხოლოდ ისეთ დროს თუ მოვიდოდი, როდესაც მნახველები დადიან ხოლმე. ეს ყველას ანერვიულებდა და ამ საკითხზე არაერთხელ წაუკითხავთ ნატაციები. მაგრამ ვერ გადავლახე ეს უკუდო თავმოყვარეობა...“


მიხეილ ქორელი და ნუცა ჩხეიძე შვილებთან ერთად



სერგო ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარეობით, ყველა პერსონაჟს განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა, მთავარ როლს თამაშობდა, თუ – ეპიზოდურს. „ეს ამდენი გათეული ღამეები, ამდენი მღელვარება, ამდენი შრომა და ბოლოს სულ ორი მონოლოგის

ნუცა ჩხეიძე ისე გარდაიცვალა, რომ სიცოცხლის ბოლომდე არ მიიღო „პროვინციალი“ სიძე.

გულისათვის იტყვიან. ეხ! ცოტაა, ცოტა ვისაც ეს განუწყვეტელი წვა-ტანჯვა ესმის, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ რასაც შრომობ და ოფლს ღვრი, კიდევ უფრო გემატება სურვილი შრომისა“ – წერდა დღიურში. ასეთი დამოკიდებულება ბევრი მისი კოლეგისთვის მართლაც მიუღებელი იყო, მეტიც – ამის გამო ხშირად ზურგს უკან დასცილდნენ კიდევ, ახლა მოვა სერგო და დაინყებს გაუთავებელ მუშაობასო. რასაც ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე და მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობები სულ რამდენიმე რეპეტიციაში აკეთებდნენ, სერგოს ამისთვის დიდი ჯაფა და საკუთარ თავზე უზარმაზარი მუშაობა სჭირდებოდა. „რა



მურამ და სერგო ზაქარიაძეები

ძალისხმევით, სერგო ზაქარიაძე 1937 წლის ზაფხულში კვლავ დაუბრუნდა თავის მშობლიურ თეატრს, რომელიც იმ დროისთვის უკვე მისი სულისჩამდგმელის – კოტე მარჯანიშვილის სახელს ატარებდა. ახლა უკვე მთავარ როლებს იღებდა: ჯიბილო (პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), ურიელი (კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), რუი ბლაზი (ვიქტორ ჰიუ-

ვილის „ზვავი“)...

1956 წელს სერგო ზაქარიაძეს ისევ მოუხდა მარჯანიშვილის თეატრის დატოვება – ამჯერად – სამუდამოდ... დასის დიდი ნაწილი დაუპირისპირდა – ბევრმა მათგანმა ჯერ კიდევ ფალავას სტუდიაში სწავლის დროიდან აითვალწუნა, ზოგისთვის ამკარად შემოქმედებითი მეტოქე იყო, ზოგს კი – უბრალოდ


**„მივედი სახლში, დავლიეთ ჩაი და ბავშვს, რომელსაც ეძინა, თითქოს გაელვოდა, ჩვენ ვისარგებლეთ მდგომარეობით და ერთი დიდი ნაჭერი კულიჩი მივაჩეჩეთ ხელში.“**

გოს „რუი ბლაზი“), ბესიკ გაბაშვილი (ლევან გოთუას „მეფე ერდკლე“), ბაგრატიონი (ალექსანდრე სამსონიას „ბაგრატიონი“), ბახა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), დავითი (ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელი“), კავალერი რიპაფრატა (კარლ გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“), გიორგი ჯაფარიძე (რევაზ თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“), ჰენრი ჰიგინსი (ბენარდ შოუს „პიგმალიონი“), თინიბეგ უთურგაული (მიხეილ მრეველიშ-

არ უყვარდა და ირონიულად დასცინოდნენ გადამეტებული შრომისმოყვარეობის გამო. თეატრში იმხანად გახშირებულ დასის შეკრებებზე გაუთავებლად გაისმოდა სერგო ზაქარიაძის კრიტიკა, საშინელი, უსაფუძვლო, ხშირად საღ აზრს მოკლებული ბრალდებებიც კი. თავის საყვარელ თეატრში უკვე აღარ დაედგომებოდა... სერგო ზაქარიაძე თეატრიდან ერთი წლის წასული იყო, როდესაც დასის მორიგი შეკრება გაიმართა. კრე-

შპს  
ხადომ საქართველო

შედეგი გახანტიხებულია





**სერგო ზაქარიაძე ყველანაირი ხალხების რაჟისორს მოერგო**

უკან მიდისო.

სერგო ზაქარიაძე ამჯერად უთეატროდ დიდხანს არ დარჩენილა – რუსთაველელთა წინადადებას დათანხმდა და კვლავ იმ სცენას დაუბრუნდა, სადაც სტუდენტობისას თავისი პირველი როლები ითამაშა. 50-იანი წლების დასაწყისის რუსთაველის თეატრი დიდი შემოქმედებითი ნოვაციებით ნამდვილად ვერ დაიკვებინდა, მმართველობის სადავეები აკაკი ხორავასა და აკაკი ვასაძის ხელში იყო, ისინი მეფობდნენ სცენაზეც და სცენის მიღმაც, განსაზღვრავდნენ სარეპერტუარო პოლიტიკას და თეატრის კურსს. სერგო ზაქარიაძემ კარგად იცოდა სად მიდიოდა, იმასაც ხვდებოდა, რომ გმირულ-ჰეროიკულმა სტილმა საკუთარი თავი უკვე ამოწურა და მას რაღაც ახალი, სრულიად განსხვავებული ჩაანაცვლებდა. ასეც მოხდა – თაობათა გარდაუვალმა ცვლამ თან ახალი სტილისტიკა მოიტანა, ცვლილებები ჯერ კიდევ დიმიტრი ალექსიძემ ნამოინყო, შემდეგ კი თეატრში მოსულმა ახალგაზრდა რეჟისორმა – მიხეილ თუმანიშვილმა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი სახე ძირეულად შეცვალა, განახლების პროცესი მოგვიანებით მისმა მოწაფეებმა – რობერტ სტურუამ და თემურ ჩხეიძემ განაგრძეს. სერგო ზაქარიაძემ თითოეულ მათგანთან იმუშავა, თითქმის ყველანაირი ხელნერის რეჟისორს მოერგო და წლების მანძილზე მრავალი შესანიშნავი სახე შექმნა: თიდიშოსი (სოფოკლეს „თიდიშოს მეფე“), ქადაგი (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“), ნიკო ფიროსმანაშვილი (გიორგი ნახუცრიშვილის „ფიროსმანი“), მინაგო (ოტია იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ“), დევი (ვაგა ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“), შაქრო (ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში“), ლირი (შექსპირის „მეფე ლირი“), ავაზო (ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“), კრეონი (ჟან ანუის „ანტიგონე“), ბეკინა (დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“).

თეატრის პარალელურად, კინოშიც ბევრს მუშაობდა – 1960 წელს სიკო დოლიძემ ფილმში – „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ ფოსტალიონის როლზე დაამტკიცა. სერგო ისე გულმოდგინედ მოეკიდა ამ როლს, რომ საგანგებოდ 16 კილოგრამი დაიკლო, ვინაიდან თელიდა – ფოსტალიონი ვერაფრით იქნება მსუქანი, მას ხომ მთელი დღის მან-

ძილზე უმძიმესი ჩანთა დააქვს! ერთხელ კინოსტუდიაში რეჟო ჩხეიძე შეხვდა და კავშირგაბმულობის მინისტრთან გაყოლა სთხოვა. სერგომ, ბუნებრივია, უარი არ უთხრა და როგორც იყო – ფოსტალიონ გიორგის კოსტიუმსა და გრიმში – რეჟისორს ისე გაჰყვა სამინისტროში. ვიდრე მინისტრი და რეჟო ჩხეიძე საქმეზე საუბრობდნენ, სერგო კაბინეტის კართან მორიდებით გაჩერდა. მინისტრი თან რეჟისორს ელაპარაკებოდა, თან თვალს სერგოსკენ აპარებდა. ბოლოს ველარ მოითმინა და მკაცრად მიმართა – თქვენ ვინ ხართ? რომელი საფოსტო განყოფილებიდან ბრძანდებითო?

ფოსტალიონი გიორგი მაცურებელმა უზომოდ შეიყვარა. თუმცა საკავშირო და, შეიძლება ითქვას, მსოფლიო აღიარება სერგო ზაქარიაძეს 1965 წელს გადაღებულმა „ჯარისკაცის მამამ“ მოუტანა. თავიდან რეჟო ჩხეიძეს სერგო ზაქარიაძის გადაღების უფლებას არ აძლევდნენ, რეჟისორს კი საქართველოში ამ როლის მომრევი მსახიობი არავინ ეგულებოდა, თუმცა გიორგი მახარაშვილის როლისთვის სინჯები სხვა არტისტებსაც გადაუღეს, მაგრამ, საბოლოოდ, რეჟისორმა და სცენარის ავტორმა მოახერხეს სტუდიის ხელმძღვანელთა გადარწმუნება, აუხსნეს, რომ ტრადიციულ საბჭოთა გმირზე არ აკეთებდნენ აქცენტს და გადაღებებიც დაიწყეს. სერგო ზაქარიაძე ამბობდა – „გიორგი მახარაშვილის ხასიათს საფუძვლად უდევს, უპირველეს ყოვლისა, უბრალო ქართველი გლეხის სულიერი სამყარო, რომელსაც მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვაკვირდები და ვსწავლობ.“

როდესაც გიორგი მახარაშვილი ითამაშა, მხოლოდ 55 წლის იყო, არადა ბევრს ძალიან მოხუცებული ეგონა. ფილმმა უამრავი საერთაშორისო ფესტივალი მოიარა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა, სერგო ზაქარიაძეს მრავალ სხვა ჯილდოსთან ერთად, ლენინური პრემიაც მიანიჭეს. მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა, ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად კი – სოფი ლორენი აღიარეს ფილმში – „ქორწინება იტალიურად“ შესრულებული როლისთვის. მთელი საბჭოთა კავშირი „ჯარისკაცის მამას“ ეთაყვანებოდა. ერთხელ სერგო მოსკოვში ფეხბურთის მატჩზე მივიდა. ვიდრე თავის ადგილს მოძებნიდა, ვილაცამ იცნო და მეზობელს უჩურჩულა

**სერგომ საგანგებოდ 16 კილოგრამი დაიკლო, ვინაიდან თელიდა – ფოსტალიონი ვერაფრით იქნება მსუქანი, მას ხომ მთელი დღის მანძილზე უმძიმესი ჩანთა დააქვს!**



სცენა სპექტაკლიდან – „ჭინჭრაქა“

ბას ცეკვას ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ესწრებოდა. მან პირდაპირ დასვა კითხვა – თეატრში, სანამ ზაქარიაძე გყავდათ, სულ მას აბრალებდით რეპერტუარის გაუმართაობას, შიდა პრობლემებს და შემოქმედებით წარუმატებლობებს. ახლა ხომ აღარ გიშლით ხელს, რატომ

ვერ მიდის თეატრის საქმე კარგადო? დასის მმართველმა ირაკლი გრატიამ ვიღამა მოურიდებლად უპასუხა – ვიდრე სერგო თეატრში იყო, მის ჯინაზე ყველა გადასარეგად მუშაობდა, ახლა კი ველარავის ეჯინებიან, არავინ აღარაფერს აკეთებს და ამიტომ თეატრის საქმეც

**თეატრში გაუთავებლად გაისმოდა სერგო ზაქარიაძის კრიტიკა, უსაფუძვლო, ხშირად საღ აზრს მოკლებული ბრალდებებიც კი. თავის საყვარელ თეატრში უკვე აღარ დაედგომებოდა...**



**სცენა საქართველოდან – „სამანიშვილის დედინაცვალ“**

„ამ მილიციით ისე ვარ გათამამებული და პატივდადებული, რესპუბლიკის რომელ კუთხეშიდაც არ უნდა ჩავიდე, პირველი მილიციელი მილიმის. ასე მგონია, მთელი რესპუბლიკის მილიციისთვის დაუვალეზიბათ თუ უბრძანებიათ, სურათი „ჯარისკაცის მამა“ ზეპირად უნდა იცოდეთო.“

ჰოდა, ასე მგონია, რა დანაშაული უნდა ჩავიდინო, რომ მილიციამ არ მაპატიოს.

მათ პატივს განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობ, როდესაც დაგვიანებული ვარ და ფეხბურთზე მანქანით მივდივარ. ყველა ჩაკეტილი სიმაფორი და გზა ჩემთვის გახსნილია. გალიმებული და მოსიყვარულე თვალებით მიყურებენ.“

პოპულარობა სშირად ყოფილი საკითხების მოგვარებაშიც შევლოდა:

„ერთხელ საბერძნეთიდან ჩემოვედი, მივედი სასტუმრო „მოსკოვი“ და ფთხილად, მორიდებით ვუთხარი ადმინისტრატორს, რომელიც თავჩალუნული რალაცას სწერდა, ხან ტელეფონით ლაპარაკობდა და დემოსტრაციულად არავის დანახვა არ უნდოდა. ამიტომ იძულებული ვიყავი მე მიმემართა და ვთხოვე ნომერი. მან თავიც არ ასწია, ისე მიპასუხა:

- Нет номеров!
- Я Вас очень прошу, я только что приехал...
- (პაუზა) სიჩუმე კარგა ხნით.
- Тогда скажите пожалуйста, где достать номер...

– Номер ни только у нас, во всей Москве не сможете достать – და არ ამოუხედა, ისე განაგრძო რალაცის ამოწერა.

რა ვქნა არ ვიცი, მერე ერთმა აზრმა გამიელვა და ვცადე ბედი, დავეყრდენი მის დაზგას და დავიწყე: სლუშ, ია იეხალ, იეხალ, მაშინა იეხალ, ლოშად იეხალ ტოჟე.

უცებ ასწია თავი და წამოიძახა Закариадзе! და მაშინვე მომცა ნომერი. მერე, კარგა ხანს, ორივე ვიცინოდით.“

იმ დროს უკვე რუსთაველის თეატრის დირექტორი იყო და მთელი მისი ფიქრი და საზრუნავი თეატრს შეეხებოდა. სერგო ზაქარიაძის დირექტორობის პერიოდში თეატრს იგივე კატეგორია მიანიჭეს, რაც მოსკოვის დიდ თეატრს ჰქონდა. ეს ნიშნავდა უმაღლეს ხელფასებს მსახიობებისთვის, ხანგრძლივ შევებულებებს, კარგ პენსიას. როდესაც

თეატრისთვის ტექნიკური სამაქროების მიშენება გადაწყვიტა, საათობით იდგა მცხუნვარე მზესა თუ თავსხმა წვიმაში და მშენებლობას პირადად აკონტროლებდა.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ქვეყნის პირველი თეატრის ხელმძღვანელს, პირადი მანქანა და მძლოლი ეკუთვნოდა, ხშირად ფეხით დადიოდა. „რამდენჯერმე ერთად მოგვინია

ვინ არის ის 800 ადამიანი, რომელიც დღეს ჩვენს სანახავად მოვიდა. სცენიდან ვერ ვხედავ მათ, ქუჩაში კი მათ გვერდით დავდივარ, უკეთ ვეცნობი. მე რომ სათქმელი გამომაქვს სცენაზე, ხომ უნდა ვიცოდე, ვის ვეუბნები ამ სათქმელსო“. ამ დამოკიდებულებას მაყურებელიც გრძნობდა და ამიტომაც გამორჩეული სიყვარულით აჯილდოებდა.

**– ეს ხომ ჯარისკაცის მამაა! ატყდა ალიაქოთი, ყველა სერგოსკენ იყურებოდა ღიმილით. უცებ მთელი დასავლეთის ტრიბუნა ფეხზე წამოუდგა და ტაშით მიესალმა საყვარელ არტისტს.**

ფეხით სახლისკენ წასვლა – იხსენებს თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე – მე ვერაზე მივდიოდი, ის კი – ვაკეში. მორიდებით ვკითხე, ბატონო სერგო, როგორ გყვარებიათ ფეხით სიარული, ყოველდღე ასე დაბრძანდებით სახლიდან თეატრისკენ? მან ძალიან საინტერესო პასუხი გამცა – როდესაც სცენაზე გამოვდივარ, მე ხომ ჩემს მაყურებელს ვერ ვხედავ. აი, ჩვენს დარბაზში 800-ზე მეტი ადგილია, მე, ყოველ სპექტაკლზე, მაინტერესებს

სერგო ზაქარიაძე არ იყო ჩვეულებრივი დირექტორი, ისეთი, მხოლოდ კაბინეტებში რომ სხედან. მთელი დღის მანძილზე ასწრებდა რეპეტიციებს, გადალებებს, გახმოვანებას, ჩანერას, სცენარების და პიესების წაკითხვას... თეატრში მიმდინარე რეპეტიციებზეც შედიოდა, იბარებდა სპექტაკლებს, ამოწმებდა სამაქროებს, არც რომელიმე გაჭირვებული ან ავადმყოფი თანამშრომელი დაავიწყდებოდა... სანერვიულოც ბევრი ჰქონ-

**„ჯარისკაცის მამა“**



– ეს ხომ ჯარისკაცის მამაა. იმან კიდევ გვერდით მჯდომს გადაულაპარაკა. ატყდა ერთი ალიაქოთი, ყველა სერგოსკენ იყურებოდა ღიმილით. უცებ მთელი დასავლეთის ტრიბუნა ფეხზე წამოუდგა და ტაშით მიესალმა საყვარელ არტისტს. სერგოს განსაკუთრებულ პატივს ტაქსის მძლოლები და მილიციის მუშაკები სცემდნენ:


– როგორ გეკადრებათ, ბატონო, საჭირო არ არის!  
– როგორ, ფული ხომ უნდა გადავიხადო...  
– არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ!  
– როგორ, ჩემო ძმაო, ახლა შენ ჩემს მაგივრად უნდა გადაიხადო.  
– მერე რა მოხდა, შე კაი კაცო, შენ ჩემი გვარი მთელს მსოფლიოში მოატარე

**„ჩვენს დარბაზში 800-ზე მეტი ადგილია, მე, ყოველ სპექტაკლზე, მაინტერესებს ვინ არის ის 800 ადამიანი, რომელიც დღეს ჩვენს სანახავად მოვიდა.“**

„ერთხელ ტაქსით მოვედი სახლში, – იხსენებდა შემდეგ – ამოვილე საფულე ფულის გადასახდელად, მძლოლმა შემაჩერა და მითხრა:

და მე, ახლა, რა გახდა, სახლში ველარ მოგიყვანოო“. თურმე მძლოლი გვარად მახარაშვილი ყოფილა.





„მუსასავით ვარ, ხომ იცით?! ჩემს თაობაში ჩემნაირი ჯანმრთელი არავინაა!“ – პასუხობდა სერგო მნახველუას

**რა საქმესაც მოჰკიდებდა ხელს, ყველაფერს საფუძვლიანად, განსაკუთრებული მონდომებითა და მთელი გულით აკეთებდა... ამიტომაც, საბოლოოდ, გულმა უმტყუნა.**

და – თეატრის ხელმძღვანელობა ადვილი არ აღმოჩნდა ისეთი პრინციპული და მომთხოვნი კაცისთვის, როგორც სერგო ზაქარიასძე იყო. რა საქმესაც მოჰკიდებდა ხელს, ყველაფერს საფუძვლიანად, განსაკუთრებული მონდომებითა და მთელი გულით აკეთებდა... ამიტომაც, საბოლოოდ, გულმა უმტყუნა – ახლობლები მუდმივად აფრთხილებდნენ „სერგო, ასე არ შეიძლება, თავს უნდა გაუფრთხილდე!“. ის კი სიცილით პასუხობდა: „მუსასავით ვარ, ხომ იცით?! ჩემს თაობაში ჩემნაირი ჯანმრთელი არავინაა!“ ამ დროს კი, თურმე, მისი გული ბუნებრივად ეკიდა – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს ამბავი შემთხვევით მაშინ გაირკვა, როდესაც უბრალო სამედიცინო ცნობისთვის პოლიკლინიკაში მისულს, ექიმებმა სრული გამოკვლევა ჩაუტარეს... დაგვიანებით დაწყებულმა მკურნალობამ არ გაჭრა... 1971 წლის გაზაფხულზე 63 წლის სერგო ზაქარიასძე ინფარქტით გარდაიცვალა. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობის დაკრძალვას ზღვა ხალხი დაესწრო. როდესაც რუსთაველის თეატრზე დამონტაჟებული დინამიკე-

ბიდან მისი ხმა მოისმა, უკლებლივ ყველა ატირდა – ქალიც და კაციც. ჯარისკაცებმა უზარმაზარი გვირგვინი მიართვეს წარწერით: „ჯარისკაცის მამას მისი შვილებისაგან“... სერგო ზაქარიასძე მთანმინდის პანთეონში დაკრძალეს...

„ცხოვრების ხელახლა დაწყების შესაძლებლობა რომ მქონდეს, მე ისევ იმავე ბილიკით წავიდოდი, მაგრამ უფრო ყურადღებით ვიქნებოდი, და, შესაძლოა, უფრო მეტიც ამელოცხოვრებისაგან! შეიძლება იყო ნიჭიერი, მაგრამ, ამის მიუხედავად, შენი თავი ხელოვნებაში ვერ იპოვო... ნიჭიერებასთან ერთად იღბალიც საჭიროა. სწორედ ესაა სიცოცხლე, რომელსაც აშენებ იმათთვის, ვინც გვერდით გყავს.

იმდენი ვერ გავაკეთე, რამდენიც მინდოდა, ყველა მთავარი სიტყვა არ მითქვამს, ვერ დავეხმარე ყველას, ვინც მხარდაჭერას საჭიროებდა... მაღლიერი ვარ ყოველი დღისათვის, ყველაფრისათვის, რასაც ცხოვრება გვჩუქნის...“

ანანო მირიანაშვილი



სერგო შვილიშვილუასთან – ნინოსთან და თამართან ერთად